**ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი # 10**

ქ. ონი 22. 11. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

**სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი:** სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

**არ ესწრებოდნენ :** თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

3.ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში დადებითია - ხელფასების ზრდა ა(ა)იპ-ებსა და საჯარო სექტორში, მისასალმებელია, რომ იქმნება ორი ა(ა)იპი- გამწვანებისა და წყლის სისტემის მოვლა-შენახვის, რაც მოაგვარებს მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს. კარგია ასევე, წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხის დადებითად გადაწყვეტა, გაზრდილია სოციალური ფონდი, სტიქიის თანხა, რაც უდაოდ დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე, თუმცა,

არის საკითხები, რომელიც კვლავ პრობლემად რჩება და რომელთა მოგვარებაც აუცილებელია. დროა, გავაკეთოთ განვითარების გეგმა, დავსახოთ პრიორიტეტები და ვიმუშაოთ ამ პრიორიტეტების შესაბამისად. გადამეტებული ყურადღებაა გარკვეული სოფლების მიმართ, ბევრი ტურისტულად მიმზიდველი, მოსახლეობით გაცილებით მრავალრიცხოვანი სოფელი კი რჩება ყურადღების მიღმა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს. საყურადღებოა სოფლის პროექტები, მეტი ყურადღებაა საჭირო ტურიზმის მიმართ, კარგი იქნება, ყოველწლიურად ერთი ტურისტული ობიექტის გაკეთება. უნდა გაიზარდოს ქალაქისა და სოფლების დასუფთავების არეალი, ნაგავსაყრელადაა ქცეული სოფლებში მდინარეების კალაპოტები, ხევები, სახელმწიფო გზები და გასაწმენდია, რაც შეეხება კულტურას, კარგი რეზონანსი ჰქონდა კინოსკოლას და კარგი იქნება გაგრძელდეს ეს პროექტი, ასევე, მოსაგვარებელია საკრებულოს ფრაქციებისათვის სამუშაო პირობების შექმნის საკითხი.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მისაღებია, რადგან იგი შესაძლებლობის ფარგლებში ასახავს მოსახლეობის ინტერესებს, თუმცა არის რიგი საკითხები, რომელიც კვლავ პრობლემაა და წლის მანძილზე შეძლებისდაგვარად იქნება დადებითად გადაწყვეტილი.
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს დღის წესრიგში შეტანას განსახილველად.

**მოისმინეს: 2.** ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი ინფორმაციას ბიუროს სხდომაზე მოსმენას.

**მოისმინეს:** 3. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სერგო ლობჯანიძე**

კომისიის თავმჯდომარე